პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 189 (18731) ოთხშაბათი, 17 აგვისტო 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ანგარიშგება-არჩევნები უაღრესად პასუხსაგები დროა პარტიის, ყველა პარტორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის ცხოვრებაში. ეს არის შედეგების შეჯამების, შეძენილი გამოცდილების შემოქმედებითი და მკაცრი ანალიზის, ახალი ამოცანების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიანი გზებისა და საშუალებების განსაზღვრის დრო.

მორიგი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დაიწყო. მიმდინარეობს კრებები პარტიულ ჯგუფებში, საამქრო ორგანიზაციებში, სკკპ წესდების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშგებას, გაიმართება კრებები და კონფერენციები მომდინარე წლის დამლევსა და მომავალი წლის დამდეგს პირველადს, აგრეთვე რაიონულ, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო და სამხარეო პარტორგანიზაციებში. ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარებამ, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამოქვეყნებულ დადგენილებაში, უნდა უზრუნველყოს პარტიული რიგების შემდგომი განმტკიცება, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება, პარტორგანიზაციათა ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის, სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების წინადადებანი იმის შესახებ, რომ ანგარიშგება-არჩევნები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მოეწყოს ამა წლის სექტემბერ-ნოემბერში, რაიონულ, საქალაქო და საოკრუგო ორგანიზაციებში — 1983 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საოლქო და სამხარეო ორგანიზაციებში — 1983 წლის დეკემბერში — 1984 წლის იანვარში.

კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში უნდა დაისვას პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის საკითხები. კომუნისტებს, ყველა მშრომელს ალაფრთოვანებს სახალხო მეურნეობაში დასახული ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია. ნოემბერ პირველი ამოცანაა ამ ტენდენციას მივანიჭოთ მყარი, მუდმივი ხასიათი. სწორედ ამიტომ ანგარიშგება-არჩევნების მსვლელობაში საჭიროა ღრმად და თვითკრიტიკულად გავაანალიზოთ მიღწეული შედეგები და არსებული რეზერვები, რაც შეიძლება ზუსტად დავსახოთ სამომავლო ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ უბნებს, სადაც ხუთწლედის დავალებანი არ სრულდება, გამოვავლინოთ ამის მიზეზები, შევიმუშაოთ ხუთწლიანი გეგმის უთუო შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

მთავარია საქმიანად გავერკვეთ, თუ როგორ ხორციელდება პარტიის მითითებანი წარმოებაში სათანადო წესრიგის დამყარების, შრომის ნაყოფიერების კარდინალური გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ხელშეკრულებებისა და შეკვეთების მიხედვით მიწოდების ჩაფუშვის თავიდან აცილების შესახებ. რაზეც უნდა მიმდინარეობდეს საუბარი კრებებსა და კონფერენციებზე — იქნება ეს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, მომზირნეობა და ყაირათიანობა, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, — იგი უნდა იყოს კონკრეტული, საქმიანი, მომთხოვნელი.

ყოველი წარმატების, ისევე როგორც ყოველი წარუმატებლობის მიღმა ხომ ადამიანები დგანან, ორგანიზაციაში ამხანაგების კეთილ სიტყვას იმსახურებენ კომუნისტები, რომლებიც მინდობილი საქმიანობაში ნამდვილი პარტიული დამოკიდებულების მაგალითს გვიჩვენებენ. ამავე დროს უნდა ვილაპარაკოთ იმათზეც, ვინც საქმეს უინიციატივოდ ეკიდება.

ბევრი საზრუნავი აქვთ კომუნისტებს. ავიღოთ, მაგალითად, მიღებული გადაწყვეტილებანი სახოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპის დაჩქარებისა და ინტენსიფიკაციის საკითხები. განა შეიძლება გულგრილად მოეკიდონ მათ ბედს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა რგოლების კომუნისტები? რა თქმა უნდა, არა! საჭირო განვაზოგადოთ სოფლად მართვის ახალი ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკაც, გავაანალიზოთ მუშაობა სოფლის ხელმძღვანელ კადრებთან.

იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესების დიდი ამოცანები დაუსახა ყველა საფეხურის პარტიულ კომიტეტებს, პარტორგანიზაციებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა. ყოველნაირად უნდა განვიხილოთ ამ მუშაობის დაყენება, რათა იგი ავიყვანოთ იმ ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში.

ღრმა განხილვას მოითხოვს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხები. რა არის აქ მთავარი? უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონის ამაღლება ადგილებზე, მუშაობის სტილის სრულყოფა, ზედმეტი სხდომების რიცხვისა და ქაღალდმთხზველობის შემცირება, ორგანიზაციული მეცადინეობის თავმოყრა ძირეულ პარტიულ რგოლებსა და შრომითს კოლექტივებში. პრინციპულ ანალიზს საჭიროებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, შესრულების კონტროლისა და შემოწმების პრაქტიკა.

შრომითი კოლექტივების წამყვანი ძალა და პოლიტიკური ბირთვია პირველადი პარტორგანიზაციები. მიზანშეწონილია ყოველმხრივ და ღრმად განვიხილოთ მათი მუშაობა, გამოვყოთ მათ მიერ ადმინისტრაციის საქმიანობაში კონტროლის უფლების განხორციელების, წარმოებაზე, ადამიანთა აღზრდასა და ყოფაცხოვრებაზე მათი გავლენის გაძლიერების, შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის დაცვის საკითხებით. სათანადოდ უნდა გავაანალიზოთ პარტიული რიგების ფორმირებისათვის, ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური წრთობის, პარტიული ძალების განაწილების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობისათვის მუშაობა.

არჩევითმა პარტიულმა ორგანოებმა კრებებსა და კონფერენციებზე უნდა გააკეთონ თვითკრიტიკული და კონსტრუქციული მოხსენებები. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მათი განხილვა იყოს პრაქტიკის, მომწიფებული პრობლემების კოლექტიური გაარკვევის მაგალითი. დაუშვებელია მეტისმეტი ორგანიზებულობა, გაბედული აზრის ჩახშობის უმცირესი ცდები, ტრიბუნიდან გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების უგულებელყოფა. ყველა საქმიანი მოსაზრება უნდა გავითვალისწინოთ მიღებულ გადაწყვეტილებებში, უზრუნველყოთ კონტროლი წინადადებათა რეალიზაციისადმი.

განსაკუთრებულ ზრუნვას უნდა იჩენდნენ კომუნისტები არჩევითი ორგანოების ფორმირების დროს. მათში უნდა შევიდნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესო კომუნისტები. საჭიროა დაუყოვნებლივ მოვაგვაროთ პრაქტიკული მუშაობა ახალ არჩევითს აქტივთან.

ფართო შინაპარტიული დემოკრატია, კომუნისტთა მაღალი აქტიურობა და პასუხისმგებლობა, ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის ზუსტი ორგანიზაცია ხელს შეუწყობს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

დასახული გრაფიკის გასწრებით ამზადებენ საკვებს ხაგარეჯოს რაიონის პატარძეულის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში. გაშალეს რა შრომითი შეჯიბრება, საკვებმომპოვებლები მკაცრად იცავენ შრომისა და საწარმოო დისციპლინას, დაკანონებული დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის სრული პასუხისმგებლობით მუშაობენ. გადაწყვეტილია ზამთრისათვის დაამზადონ 2 ათასი ტონა სენაჟი და ხილოსი, ათას ხუთასი ტონა ნამჯა, ორ ათას ტონაზე მეტი თივა.

სურათებზე: საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში ნამჯას წნეხენ; მოწინავე საკვებმომპოვებელი გია სუხიაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს დღეები სოფლად

არ შევანელოთ კრეფის ტემპი!

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, სეზონის დაწყებიდან 17 ივლისისათვის მოკრეფილია 401.018 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშან ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 347.404 ტონა. 16 აგვისტოს მოიკრიფა 3.649 ტონა ნედლეული, წინა დღეს კი 3.913 ტონა, ანუ 264 ტონით ნაკლები. ეს არცთუ ისე მცირე დანაკლისია.

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 71.464 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდისაში — 53.411 ტონა, ქობულეთისაში — 36.448 ტონა, გალისაში — 35.941 ტონა, ოჩამჩირისაში — 30.750 ტონა, ტონა, ვანისაში — 829 ტონა, აბაშისაში — 607 ტონა, სოხუმისაში — 568 ტონა.

წალენჯიხისაში	— 25.548 ტონა,
ლანჩხუთისაში	— 20.875 ტონა,
ჩხოროწყუსაში	— 19.259 ტონა,
გეგეჭკორისაში	— 18.315 ტონა,
ხელვაჩაურისაში	— 17.769 ტონა,
ჩოხატაურისაში	— 11.881 ტონა,
წყალტუბოსაში	— 9.469 ტონა,
ცხაკაიისაში	— 9.243 ტონა,
ხობისაში	— 8.786 ტონა,
ტყიბულისაში	— 8.485 ტონა,
წულუკიძისაში	— 7.150 ტონა,
გუდაუთისაში	— 5.791 ტონა,
სამტრედიისაში	— 2.652 ტონა,
გულრიფშისაში	— 2.173 ტონა,
ჭიათურისაში	— 1.292 ტონა,
თერჯოლისაში	— 1.190 ტონა,
ქედისაში	— 1.123

ვინ მოიპოვებს გარდამავალ დროშას?

გეორგიევსკის ტრაქტორის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაზეთ „კომუნისტის“ და საქართველოს სსრ სახოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც თ. მგელაძე ხელმძღვანელობს.

გვესაუბრებიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ვეტერანებთან გამართული შეხვედრის მონაწილენი

ცხოვრების პროგრამად აღვიქვით

მოსკოველებიც კი, რომლებსაც მუდამ სადღაც მიეჩქარებათ უსათუოდ ჩერდებიან ხოლმე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზის სარკმლებთან. აკ, გორკის ქუჩის № 25 სახლის ვიტრინებში, დღეს, როგორც ყოველთვის, გამოკრულია პლაკატები, ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს რომ ეძღვნება. ერთ მთგანზე მსხვილი შრიფტით არის აწყობილი სიტყვები, რომლებიც ზუსტად და ლაკონიურად გამოხატავს შრომითი კოლექტივების შესახებ ახლახან მიღებული კანონის არსს. მათი ავტორი გიორგი ალექსანდრე ჟაროვი, ძველი ბოლშევიკი, საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი პიონერი. იგი დღესაც სამუშაო მწყობრშია და, როგორც ყოველთვის, შრომობს ოპერატიულად და ალაღად, მთელ თავის ნიჭს პარტიისა და ხალხის სამსახურს აბარებს.

— მე ბედნიერი კაცი ვარ, — ამბობს ალექსანდრე ჟაროვი, თოთხმეტი წლისა — კომკავშირის დაბადების წელს — შევედი მის რიგებში. მე, სულ მთლად ყმაწვილს მომანდეს მეხელმძღვანელა კომკავშირის სამაზრო კომიტეტისათვის მშობლიურ მოქალაქეში. ხოლო თექვსმეტი წლისა ბოლშევიკთა პარტიაში მიმიღეს.

სამუდამოდ დამახსომდა 1920 წლის ოქტომბერი. კომკავშირის მესამე ყრილობა და ამ ყრილობაზე ლენინის განთქმული სიტყვა. ვისწავლოთ კომუნიზმი, — მოგვიწოდა ვლადიმერ ილიას ძემ. და ჩვენ ლენინის ეს ანდერძი მთელი ცხოვრების პროგრამად აღვიქვეთ.

ბელადის სიტყვები შემოქმედებითი დევიზი გახდა პირველი კომკავშირელი პოეტისათვის, რომელმაც მტკიცედ დაუკავშირა თავისი ბედი ქვეყნის ბიოგრაფიას. ჟაროვის ლექსებმა ჩვენამდე მოიტანეს პირველი ტრაქტორების გუგუნი და პირველ შაბათობათა ენთუზიაზმი, მაგნიტოგორსკისა და მოსკოვის სახელობის აირხის, მეტროშენისა და დნეპრჰესის მშენებელთა ხმა. დიდი სასამღერო ომის გმირთა ხსოვნისადმი პატივგებად ეღერს ნაწარმოებები, რომლებიც ბრძოლებსშუა ხანმოკლე შესვენების დროს დაუწერია მეზღვაურ ალექსანდრე ჟაროვს. მილიონობით ადამიანს შეუყვარდა მისი სიმღერები. ხოლო ერთი მათგანი — „აინთეთ კოცონებად, ლურჯო ომეებო...“ დღესაც მთავარი ჰიმნია ჩვენი სამშობლოს პიონერებისა.

დიდად ამაღლება დღევანდელმა შეხვედრამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, — თქვა ჟაროვმა.— ჩემი აზრის დასტური ეპოვე იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სიტყვებში, რომელმაც ჩვენი, პარტიის ვეტერანების წინაშე გამოსვლისას ახალი ძალით გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა სისტემატურად ვამაღლებდეთ მშრომელთა პოლიტიკურ კულტურას, რათა ყოველი ადამიანი გადავაქციოთ შეგნებულ, საზოგადოებრივი-ცხოვრების უსათუოდ შეგნებულ მონაწილედ. სოციალური შემოქმედება, წინსვლა-განვითარება ეკონომიკურად გულისხმობს ყოველივე იმ ძვირფასის შენარჩუნებასა და გამდიდრებას, რაც წინათ შეგვიძენია. ეს სიტყვები გულში ჩავგუნდა. და ჩვენც ეტაფეტასავით გადავცემთ ახალგაზრდა თაობას ლენინის დიად ანდერძს — ვისწავლოთ კომუნიზმი!

ბარაქიანი გავხადოთ მინა

კომუნისტებს ერთი პრივილეგია აქვთ—იყვნენ იქ, სადაც ყველაზე უფრო ჭირს, დიდი პუროსათვის ბრძოლაშიც არის თავისი მოწინავე ხაზი. არის მიჯნები, რომელთა აღებაც საჭიროა, და საერთო სტრატეგიული გეგმა, რომელსაც სასურსათო პროგრამას ვუწოდებთ.

ძნელი მიწა ერგო „ოქტომბრის 40 წლისთავის“ სახელობის კოლმეურნეობას ტალდი კურგანის ოლქში. ას კილომეტრზეა გადაჭიმული იგი ჯუნგარის ალათაუს მთის ძირას. ლოდები, ქვიშნარი, მლაშობები. მშვენიერი და ბარაქიანი გახადა იგი ისეთ ადამიანთა შრომამ, როგორიც არის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოლოვაცკი — სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

სამოქალაქო ომის დროის მშიერი ბავშვობა, პირველი სასოფლო-სამეურნეო კომუნები, კულაკის ტყვია, კოლექტივიზაცია და ყამირელთა გმირობა ამ კაცისათვის მარტო პარტიის ისტორიის სტრიქონები როდია. ყოველივე ეს თვითონ განიცადა, ოცდაინ წლების კომკავშირელმა, 52 წლის სტაჟის მქონე კომუნისტმა.

ბავშვობიდანვე შეიცნო მიწის ყადრი და სამუდამოდ შეიყვარა იგი. არმიაშიც კი, როცა საზღვარზე მსახურობდა, დამხმარე მეურნეობა მოაწყო, ხოლო სამსახურის დამთავრების შემდეგ ამავე ადგილებში სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობას ამ მიწა-წყალზე, რომელსაც იცავდა.

„ოქტომბრის 40 წლისთავის“ სახელობის კოლმეურნეობა დღეს ერთ-ერთი უდიდესია ქვეყანაში. მეურნეობა უკვე მალე დაამთავრებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ხუთწლიან გეგმას. სამი წლის მანძილზე — 18 ათასი ტონა! სხვათა შორის, აქ ხორცს ცენტნერობით კი არ ანგარიშობენ, როგორც მიღებულია, არამედ ტონობით. წლითიწლობით იზრდება სიმინდის გარანტირებული მოსავალი. წლეულს ჩაბარებენ 4,5 მილიონ ფუთ სიმინდის მარცვალს.

— იქნებ კიდევ უფრო მეტიც უნდა იყოს. — თქვა ნ. გოლოვაცკმ, — პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა პირდაპირ თქვა, რომ დაგვიდგა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისეთი ეტაპი, როცა გაზრდილი შესაძლებლობანი და გაზრდილი საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი გვიკარნახებს აუცილებლობას ავამაღლოთ მთელი სამეურნეო მუშაობის დონე.

ჩვენს მეურნეობაშიც ბევრი რამ არის, რაზედაც უნდა დავფიქრდეთ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა ჩვენი კოლმეურნეობის პროდუქციის გადიდების შესაძლებლობებს აფერხებს ჯერ კიდევ სუსტი მომღები ბაზა. გვაკლია მანქანებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები, მოჯარები ფუშავენ სოფლად სამშენებლო სამუშაოთა შესრულებას. მოვაგვაროთ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის ზუსტი მუშაობა — სწორედ ასეთ ამოცანას წყვეტს დღეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მასებზე, პარტიის ვეტერანთა ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

(საკვლევი კორ.).

მოსკოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

ღლის პირველი ნახევრის შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს შორის 1983 წლის პირველ ნახევარში გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად, ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებული შესრულებისათვის ბრძოლაში.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის დავალებანი რესპუბლიკის მრეწველობამ აღნიშნულ პერიოდში შეასრულა 102,2 პროცენტით, გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 100,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,5 პროცენტით გაიზარდა.

სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა 102,9 პროცენტით, გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 136,6 მილიონი მანეთის პროდუქცია. რესპუბლიკის მრეწველობამ შრომის ნაყოფიერების გეგმა შეასრულა 102,7 პროცენტით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ძლევენ რა არახელსაყრელი ამინდის პირობებს, უზრუნველყვეს პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულება 108,5 პროცენტით, რძისა — 101,9 პროცენტით, კვერცხისა — 104,8 პროცენტით, მატყლისა — 121,6 პროცენტით.

საერთოდ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს 1983 წლის პირველი ნახევრის საგეგმო დავალებები ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგები კვლავაც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ძირითადი სოციალური და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

განიხილეს რა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროებსა და უწყებებს შორის 1983 წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი
საქმთავარენერგო — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო — საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო
საქმიდროენერგომშენი — საქმთავარწყალმშენი	საქმიდროენერგომშენი
საქართველოს სსრ სახმომარაგება — საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ სახმომარაგება
საქართველოს სსრ სახბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო— საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი არ გამოვლენილა იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოების გეგმა, პროდუქციის რეალიზაციისა და მიწოდების დავალებანი, ხოლო საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და ამიერკავკასიის რკინიგზას, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირს“ შორის — იმის გამო, რომ მათ ვერ შეასრულეს დავალებანი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.	

ასსრ, აო

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აფხაზეთის ასსრ
აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის აო	აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის აო

ქალაქები

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
ბათუმი — სოხუმი	სოხუმი	ჭიათურა — ტყიბული	ჭიათურა
ფოთი — გორი	ფოთი	ტყვარჩელი — ტყიბული	ტყიბული
ზუგდიდი — ცხინვალი	ზუგდიდი, ცხინვალი	ქუთაისი — რუსთავი	ქუთაისი

რაიონები

ჯავის — ონის	ჯავის	ლენტეხის — ხულოს	ლენტეხის, ხულოს
ახალციხის — შუახევის	შუახევის	გურჯაანის — მარნეულის	მარნეულის
მესტიის — ორჯონიკიძის	მესტიის	გორის — ახალქალაქის	ახალქალაქის
სამტრედიის — ხაშურის	სამტრედიის	თელავის — ზესტაფონის	ზესტაფონის
თეთრი წყაროს — კახეთის	თეთრი წყაროს	ახალციხის — ქობულეთის	ქობულეთის
დმანისის — დუშეთის	დმანისის, დუშეთის	ხობის — სიღნაღის	ხობის
ბორჯომის — ———		სოხუმის — ხელვაჩაურის	სოხუმის
ქ. წყალტუბოს ზონა	ქ. წყალტუბოს ზონა	ცაგერის — მაიაკოვსკის	ცაგერის, მაიაკოვსკის
ბოგდანოვკის — საგარეჯოს	ბოგდანოვკის, საგარეჯოს	წალენჯიხის — ლაგოდეხის	წალენჯიხის
		ადიგენის — ქედის	ადიგენის, ქედის
გალის — აბაშის	გალის, აბაშის	ცხინვალის — წულუკიძის	ცხინვალის
გუდაუთის — ცხაკაიას	გუდაუთის, ცხაკაიას	ზნაურის — ქარელის	ზნაურის
ზუგდიდის — მახარაძის	ზუგდიდის, მახარაძის	გულრიფშის — ჩხოროწყუს	გულრიფშის
ყაზბეგის — ლენინგორის	ლენინგორის	ქობულეთის — ქ. გაგრის ზონა	ქობულეთის, ქ. გაგრის ზონა
მცხეთის — ბოლნისის	ბოლნისის		
გარდაბნის — წითელწყაროს	წითელწყაროს	თერჯოლის — საჩხერის	თერჯოლის
ჩოხატაურის — ლანჩხუთის	ჩოხატაურის	ვანის — წულუკიძის	ვანის

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
ქ. თბილისის ლენინის რაიონი — ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი	ქ. თბილისის ლენინის რაიონი
ქ. თბილისის გლდანის რაიონი — ქ. ქუთაისის ავტოკარხნის რაიონი	ქ. თბილისის გლდანის რაიონი

ამბროლაურისა და საჩხერის, თიანეთისა და წალკის, ყვარლისა და ახმეტის, გეგეჭკორისა და ოჩამჩირის რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები არ გამოვლენილან იმის გამო, რომ მათ ვერ შეასრულეს სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქტების დამზადების გეგმები, შეამცირეს მათი წარმოების ზრდის ტემპი 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აგრეთვე ვერ შეასრულეს გეგმავალდებულებანი მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით.

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს აჭარის ასსრ, ქალაქ ბათუმის, ონის, გურჯაანის, ხაშურის, ლანჩხუთის, წულუკიძის, ჩხოროწყუს რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მშრომელებმა, რომლებმაც კარგი შედეგები მოიპოვეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ განხორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მშრომელთა დარაზმისა და მატერიალური რესურსების ამოქმედებისათვის, რათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის 9 თვის გეგმები გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად, გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, შრომითს კოლექტივებში დისციპლინისა და სახელმწიფო წესრიგის განმტკიცებისათვის. (საქინფორმი).

გაიმართა არჩევნები

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 306 ბუკისციხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1983 წლის 14 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ჩოხატაურის რაიონის № 306 ბუკისციხის საარჩევნო ოლქში.

კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 306 ბუკისციხის საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხანაგი ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 306 ბუკისციხის საარჩევნო ოლქის საოლქო კომისია.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 440 წინაგარის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

1983 წლის 14 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ლენინგორის რაიონის № 440

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ნაკლის დაუფარავად

პარტჯგუფორგანიზატორმა ანგარიში რომ დაამთავრა, ერთბაშად რამდენიმე კომუნისტმა მოითხოვა სიტყვა: რიგრიგობით გამოდიან მკერავები ნ. ერაძე, ვ. ასათიანი, წუნდებელი ლ. ჯიფარიძე და სხვები. ისინი საქმიანად ლაპარაკობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და წლევანდელი ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, იმაზე, თუ რა კეთდება კოლექტივში სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობათა გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, პირუთვნელად ამხელენ ნაკლოვანებებს, აყენებენ მათი გამოსწორების წინადადებებს.

— მეტად უნდა მაგხედოთ მუშათა შრომის პირობებს!

— ნედლეულით მომარაგების საქმეს სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან!

— ბევრი ფორმალიზმია ჩვენი პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების საქმიანობაში!

და ასე დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ გამომსვლელები უმთავრესად მწვავე, საჭირბოროტო საკითხებზე.

ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოში კარგა ხანია შრომის ორგანიზაციის ბრიგადულმა სისტემამ საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ახლა საწარმოში უკვე 100 ბრიგადაა, ანუ მკერავთა 85 პროცენტი გადაყვანილია მუშაობის ბრიგადულ ფორმაზე. ყოველივე ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა შრომის ნაყოფიერების ზრდის, სამუშაო დროისა და მანქანა-დანადგარების რაციონალურად გამოყენების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. აშკარად ოცდაოთხ ბრიგადაში ნაყოფიერად საქმიანობს პარტიული ჯგუფი, ამ დღეებში პარტიული ჯგუფების შექმნას აპირებენ აგრეთვე ორსხვა ბრიგადაშიც.

მთელ საწარმოში ერთ-ერთი მოწინავეა № 2 საამქროს № 35 ბრიგადის პარტიული ჯგუფი, რომელსაც სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი დ. ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობს და რომლის საანგარიშო-სარაჩევნო კრების მომდინარეობაზეც ამ წერილში გვაქვს საუბარი. კრების მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი მ. ფაჩუაშვილი.

რამ შეუწყო ხელი ბრიგადის პარტიული ჯგუფის კომუნისტების აქტიურობას საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე?

არჩევნებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე ხნით ადრე პარტიის ლენინის რაიკომის ბიუროს მოისმინა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიული ჯგუფის ორგანიზატორის დ. ბუცხრიკიძის მუშაობის ანგარიში. რაიკომის ბიურომ საფუძვლიანად გააანალიზა პარტიული ჯგუფის მთელი საქმიანობა, დასახა ღონისძიებანი იმისათვის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები ყველა პარტიულ ჯგუფში მოეწყოს ნაკლოვანებათა პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ურთიერთმომთხოვნელობის გაძლიერების, პარტიულ გადაწყვეტილებათა უფუო შესრულებისათვის ბრძოლის ეფექტურობაში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ითქვა, რომ ბრიგადა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, უშვებს მაღალი ხარისხის პროდუქციას, რასაც, პირველ ყოვლისა, განაპირობებს წარმოების საქმეებზე პარტიული ჯგუფის აქტიური გავლენა. პარტჯგუფის, მისი ორგანიზატორის ინიციატივით სისტემატურად ხდება საწარმო დავალებათა, როგორც ბრიგადული, ასევე პირადი დავალებების შესრულების გარჩევა-განხოგადება, მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამუშაო დღის უმიზეზოდ გაცდენისათვის გაფრთხილებული იქნა ვ. სულაკაძე, მასვე დაექვითა პრემიის დანამატი. მკაცრად დაისაჯნენ აგრეთვე დამგვიანებლები ნ. ჯულაყიძე, მ. გოგობერიძე, ი. ფანცულაია.

პარტიული ჯგუფის სხდომებზე პერიოდულად ისმენენ კომუნისტების ანგარიშებს, რაც ხელს უწყობს მათი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, პარტიული მუშაობის ჩვეულების გამომუშავებას. 38 საკითხიდან, რაც პარტიულმა ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში განიხილა, 21 საკითხი პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას შეეხება, ამასთან მთავარი ყურადღება ეთმობა პარტიული კომიტეტის, საამქრო პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელების ღონისძიებებს.

პარტიული ჯგუფი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება ბრიგადის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათ მიერ მომიჯნავე ოპერაციების შესწავლის საქმეს. ბრიგადის 21 წევრს დამთავრებული აქვს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ხოლო პარტჯგუფორგანიზატორი კი ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს. ბრიგადის სამი წევრი 45 მომიჯნავე ოპერაციას ფლობს, 4 მუშა — 20-ს, ხოლო დანარჩენი 19 — 10 ოპერაციას.

ბრიგადის 7 წევრი აქტიურად მონაწილეობს სადამრიგებლო საქმიანობაში.

მიღწევებთან ერთად საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ ჯერ კიდევ უველა საქმეში როდი ჩანს პარტჯგუფის მხრივ შემოქმედებითი მიდგომა. ბრიგადის წევრები არადამაკმაყოფილებლად ერკვევიან საწარმოს, საამქროს, ბრიგადის პერსპექტივებში, მუდამ კონკრეტულად ვერ გამოკვეთავენ ხოლმე თავიანთ წვლილს კოლექტივის საერთო საზრუნავიდან, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმის დაცვას.

არადამაკმაყოფილებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონე. 1981 წლის შემდეგ ბრიგადაში პარტიის რიგებში მისაღებად არ მომზადებულა არც ერთი ახალგაზრდა. პარტიულ ჯგუფს უფრო მეტი მოეთხოვება მუშათა საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

კრებამ აღრიცხა კომუნისტთა წინადადებანი, რომელთა დროული განხორციელება მნიშვნელოვნად დაეხმარება პარტჯგუფს მომავალ მუშაობაში.

დ. გედენიძე.
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

ვინ უერთგულებს სიტყვას

თვალსა და ხელს შუა იწურება აგვისტო, მალე მიილევა ზაფხული. მზით გარეჯული გოგო-ბიჭების ჟრიამული აავსებს ქალაქს. დაირეკება მღელვარებითა და მოლოდინით აღსავსე სექტემბრის პირველი ზარიც... დიდი მუშაობა გასწიეს დედაქალაქის განათლების მუშაკებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, შშენებლებმა, რათა პირნათლად შეხვედროდნენ სასწავლო წლის დაწყების ზეიმს.

უკანასკნელ წლებში სასკოლო ცხოვრება განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა. ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და სწავლების სრულყოფისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განმტკიცება. „კაპიტალურ მშენებლობაში ზონა პლანზეა წამოწეული სასკოლო მშენებლობა. ყოველწლიურად სრულდება სარემონტო-სამშენებლო, აღდგენითი სამუშაოები, შენდება ახალი კორპუსები.

ახალ სასწავლო წელს თბილისში მწყობრში ჩადგება რამდენიმე ახალი საშუალო სკოლა, თითოეული 1256 მოსწავლისათვის. ამჟამად მშენებლობის ინტენსიური პერიოდია და ჩვენც იქით გავწიეთ. პირველად ვარკეთილის მასივის ახალშენებლობას ვესტუმრეთ (აშენებს მე-13 ტრესტი — მმართველი ვ. მხეიძე, — მე-3 სამმართველო — უფროსი ვ. ჯანელიძე).

— სკოლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, — გვეუბნება მშენებლობის ოსტატი გ. გელაშვილი, — ძირითად კორპუსში იატაკის დაგება, ელექტროგაყვანილობა, შელესვა დამთავრებულია. ახლა მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები და გარე ფასადის შელესვა-შეთეთრება.

— დამხმარე კორპუსის მშენებლობისას, — საუბარს განაგრძობს უბნის უფროსი გ. ნატროშვილი, — სადაც მოთავსებულია სასადილო, სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, მუსიკის საკლასო ოთახები, კლუბი და სათავსები, მასალების მოწოდების მხრივ დაბრკოლებებს წავაწყდით. ნაწილი გადასახური ფილებისა მოსატანია. ჯერ კიდევ არა გვაქვს მთავარი შესასვლელისა და სადარბაზოს კარები. მშენებლებს ვერ დავემდურებით. თავდაუზოგავად შრომობენ. განსაკუთრებით შოთა აფციაურის, ალექსი წიკლაურისა და რეზო ველდიაშვილის ბრიგადებმა გამოიჩინეს თავი.

— ერთი გასაჭირი კიდევ გვაქვს — სათქმელს ვერ მალავს მშენებელ-ტექნიკოსი თ. ხუნგაკეა, — მოგეხსენებათ, სპორტული მოედნისა და ეზოს გარეშე სკოლას რა ფასიც აქვს. მშენებლობის ტემპს კი ვაჩქარებთ, მაგრამ სკოლის ეზოს ტერიტორია ჯერ კიდევ გასათავისუფლებელია. დროა ეს საკითხიც გადაიჭრას.

ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონის საშუალო სკოლის მშენებლობაზე რომ მივედით, ის-ის იყო პარკეტის გადმოტვირთვა დასრულებულ.

— შენობის დასამთავრებლად სულ 4200 კვადრატული მეტრი პარკეტი გვჭირდება, — გვეუბნება უბნის უფროსი მ. შენგელია, — ჩვენ კი მხოლოდ დღეს მივიღეთ პირველი 200 კვადრატული მეტრი. ასეა სხვა საშენმასალების მხრივაც. ყოველდღიურად ტონობით სალესი მასალა გვჭირდება, მაგრამ... დამატებითი კორპუსის საკედლე ქვებს ჯერ ისევ ველით. გაუმართავი მექანიზაცია. არა გვაქვს კარფიწარები. ასეთი მომარაგებით შორს ვერ წახვალ. სამ ცვლად ვმუშაობთ. დღედაღამ არ ნელდება მშენებლობის რიტმი. ი. ცხოლიძისა და ი. ბარაბაძის ბრიგადები დაუღალავად მუშაობენ, მაგრამ თუ მასალა არ იქნება, ვერას გავაწყობთ.

სკოლას აშენებს მე-13 ტრესტის მე-7 სამმართველო (მმართველი ს. დევდარიანი).

უარეს დღეში დაგვიხვდა მუხიანის მესამე მიკროორაიონის სასკოლო მშენებლობა. დასამთავრებელია ძირითადი კორპუსის შელესვა-შეღებვა, იატაკის დაგება, გარე ფასადი. დამხმარე კორპუსის ზედა სართულის მშენებლობა ახალი დაწყებულია. ერთი კია, აქაური მშენებლები და უბნის უფროსი ვ. პაპუნიდი იმედის თვალით უყურებენ მომავალს.

— ყველაფერს მოვასწრებთ სექტემბრამდე, — ამბობს უბნის უფროსი, — მასალები უკვე გვაქვს, მუშახელიც არ გვაკლია, ასე რომ, სექტემბრის ზარი საზეიმოდ დაირეკება (სკოლას აშენებს მე-13 ტრესტის მე-8 სამმართველო — უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ი. ზერელიდი).

პირველი ზარი. ამ ზარს მოუთმენლად ელის ათასობით მოსწავლე. მათი გაწბილება არ იქნება. სამწუხაროდ, ამ საქმის მოსწრება მხოლოდ იერიშობანას და ხარისხის გაუარესების ხარჯზე შეიძლება მოხერხდეს, თუმცა მშენებლები დაბეჯითებით ამტკიცებენ, ყველაფერს ხარისხიანად ვაკეთებთო. ხეტამც!

სექტემბრის ზარი შეამოწმებს, ვინ უერთგულა სიტყვას და ვინ არა...

ნ. თათელაძე.

სურათზე: სკოლის მშენებლობაზე ვაზისუბნის დასახლებაში, უბნის უფროსი მურად შენგელია (მარჯვნივ) მორიგ დავალებას აძლევს დურგალ ზაურ თევზაძეს, მლესავ ვალერი ბიბილურიძეს, დურგალ ანტონ ნიკოლაიშვილს და ელექტროშემდუღებელ-მემონტაჟეს გურამ მჭედლიშვილს.

გ. სანაიას ფოტო.

ახალციხელ სამთოელთა გასაჭირი

აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო, როგორც მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ორი სხვადასხვა წიაღისეული ნედლეულის მოპოვებაზე მუშაობს.

ერთი მათგანია აქატი — ვულკანური წარმოშობის ძვირფასი ფერადი ქვა, რომელსაც იყენებენ ზუსტი ხელსაწყოების და საიუველირო ნაწარმის დასამზადებლად.

მეორე — დიატომიტი, ანუ ინფუზორული მიწა, საჭიროა ქიმიური, კვების და საშენ მასალათა მრეწველობაში კატალიზატორების, საღებავების, სასუქების, დეკორატიული და ჰიდროცემენტის მისალებად.

„აქატის ძირითადი მომხმარებელია ორჯონიკიძის ხელსაწყოთსამშენებელი, უგლიჩის საათის და ლენინგრადის საიუველირო ქარხნები. დიატომიტი კი როსტოვის, კრივოი როგის, შელკოვოს, უფის და სხვა ქიმიურ ქარხნებსა და საწარმოებს ეგზავნება. როგორც ვხედავთ, ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოს გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მრავალი საწარმოს საქმიანობა.

მაღაროთსამმართველოს კოლექტივი თითქმის ყოველთვის ასრულებს სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმებს, მაგრამ ეს ხდება ძირითადად ზეგეგმითი დიატომიტის მოპოვება-რეალიზაციით. აქატის მოპოვებაში კი აქ სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. გადიდების ნაცვლად, ამ ბოლო დროს თითქმის ყოველწლიურად ამცირებენ ამ მეტად საჭირო ქვის ამოღებას.

შარშან, მაგალითად, ახალციხელმა სამთოელებმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 ათასი კილოგრამისა ამოიღეს 13,5 ათასი კილოგრამი აქატი. მომხმარებლისათვის მისი მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო სამმართველო დაჯარიმდა 4165 მანეთით. წლეულს შარშანდელთან შედარებით კვლავ 6 ათასი კილოგრამით შემამცირეს აქატის მოპოვების გეგმა. მაგრამ ვერც ამ კორექტირებულ დავალებას ართმევენ თავს.

რატომ ჩამორჩნენ ახალციხელი აქატმომპოვებლები, რა უშლით ხელს მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმა-ხელშეკრულებების შესრულებაში, როგორ შეიძლება ჩამორჩენის დროულად დაძლევა?

ამ კითხვებზე რომ სწორი პასუხი მიგეცეო, აქატის კარიერებს ვეწვეოთ.

პამაჯის უბნის ზიარეთის კარიერზე მემანქანეს „ცხვირჩამოვარდნილი“ მოშლილი ვეება ექსკავატორი იქვე მიეტოვებინა და თვითონ ელექტროშემდუღებლისა და ამწის მოსაყვანად ქალაქში წასულიყო. ორი მძიმე სატვირთო ავტომანქანიდან ერთი იქვე იყო გაჩერებული, მეორე კი საწყავ-საპოხი მასალის შესავსებად ქალაქში წასული გზაში გაფუჭებულიყო და მძღოლი თურმე მის გამართვაზე წვალობდა. ადგილზე მხოლოდ რამდენიმე მბურღავ-ამფეთქებელი დაგვხვდა. ასაფეთქებლად ამზადებდნენ 80-100 მეტრ სიმაღლეზე ხანგრძივი საბადოს ძირში დარჩენილ პატარა საჭიდაო მოედნისხელა საფეხურს.

სულ მალე ამასაც მოვთავვებთ და სამუშაო ფრონტი აღარ გვექნებაო, გვითხრა ერთმა სამთოელმა. რამდენიმე წლის წინათ აქ ერთდროულად მომდინარეობდა აქატის მოპოვებაც და კარიერის გადახსნაც. ახლა კი კარიერის გადახსნასა და სხვა მოსამზადებელ სამუშაოებზე აღარავინ ზრუნავს, აქატს კი მოითხოვენ, მაგრამ როგორ და საიდან, ამას არავინ კითხულობს.

ასეთივე სურათის მოწმენი გავხდით შურდოს უბნის აქატის კარიერებზეც. აქაც ერთი ექსკავატორი და ერთი ძლაური სატვირთო ავტომანქანა მოშლილიყო. მათი მძღოლები არსად ჩანდნენ. მხოლოდ გ. ლაცაბიძის ექსკავატორი მუშაობდა სადღაც „უფსკრულში“, რომელიც მონგრეული სამთო მასით თ. ტალაბაძისა და ნ. ცალქალამანიძის მანქანებს ტვირთავდა.

— გამოსავლიანობა ძალიან მცირეა, — გვითხრა გამყვანმა ს. კურტანიძემ, — მთელ დღეს ამ ფუჭი სამთო მასის დატვირთვა-გაზიდვას ვუნდებით. აქატი იშვიათად გვხვდება.

— მერე რატომ სხვაგან არ სინჯავთ, ამ მთებში ხომ მთლიანად აქატის საბადოებია?

— კარიერის ახალი საფეხურის გადახსნისათვის დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა შესრულდეს. საჭიროა გზის გაყვანა, დიდი რაოდენობის ფუჭი ქანის მონგრევა, დატვირთვა, გადაზიდვა და სხვა. ყოველივე ამას კი სათანადო ტექნიკა სჭირდება. ამ მოძველებული ექსკავატორით და ორიოდე დანჯღრეული მანქანით, რომლებსაც თითქმის ყოველდღე შეაკეთება სჭირდება, აბა რას გავხდებით. ესეც იქით იყოს, აქატის მოპოვებაზე რაღა ვამუშაოთ? — შემოგვჩივლა სამთოელმა.

ამ სიტყვების სისწორე დაგვიდასტურა აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოს დირექტორმა ე. ფოფხაძემ. მან თქვა, რომ წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული 15 ათასი კილოგრამი აქატი ოფიციალურ თვალსაზრისით, ნამდვილად ასრულებს ამ ბრიგადის ბრიგადირ ნ. ჯულაყიძის, ოპერატორ ვ. ბერიძის, ექსკავატორ ლ. ბოლქვაძის, ავტოთვალმაზომელ ნ. ბერიძის, ავტომანქანა „ზილ-130“-ის მძღოლ

კულტურა-ხალხთა მეგობრობის სამსახურში

თანამედროვე ეტაპზე სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში, სოციალიზმის მტრები ცდილობენ ხელოვნურად დაამახინჯონ საბჭოთა კავშირში ეროვნულ კულტურათა განვითარების რეალური სურათი.

საბჭოთა მეცნიერების კულტურის პრობლემების მკვლევართა ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან გაერკვნენ იდეოლოგიურ სიტუაციაში და დასაბუთონ, რომ კულტურის ეროვნული ფორმა იდეათა ბრძოლის პირობებში სოციალიზმის ინტერნაციონალურ ამოცანებს ემსახურება, რომ მისი განვითარება განისაზღვრება საბჭოთა საზოგადოების სოციალისტური, ინტერნაციონალური იდეოლოგიით.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ დასტამბული ნელი ჩაფიძის მონოგრაფია **„ქართულ და მოძმე ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ისტორიის პრობლემები (1921-1958 წ.წ.)“.**

სარეცენზიო ნაშრომის მთავარი მიზანია საზოგადოებაში კულტურის არსის, მისი სტრუქტურისა და როლის გარკვევა, ამასთან ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ისტორიის პრობლემების კომპლექსური შესწავლა.

ნაშრომში ღრმად არის გაანალიზებული და დიდ ინტერესს იწვევს ერების დაახლოების, პროცესი სოციალისტური მშენებლობის წლებში. როგორც ცნობილია, იგი მიმდინარეობდა ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით და სოციალისტურ, ეროვნულ კულტურათა განვითარების გზით. ეყრდნობა რა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის მშენებლობის პროცესში სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მიზანსწრაფვათა ერთიანობამ საბჭოთა ხალხი ობიექტური აუცილებლობის წინაშე დააყენა — სოციალისტური ერების მაღალი დონის შესაბამისად შეექმნა ერთიანი მსოფლმხედველობით გამსჭვალული მრავალეროვნული კულტურა.

ავტორი შემოქმედებითად მიუდგა განვითარებული სოციალიზმის პირობებში ერების აყვავებისა და დაახლოების ორ პროგრესულ ტენდენციას, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება, უსაზღვრო ხალხთა სულიერ სფეროში კულტურული დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების შესაძლებლობა. ავტორი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს სოციალისტური ერების კულტურათა აყვავების, გაფურჩქვნისა და დაახლოების ინტენსიური პროცესი.

სარეცენზიო ნაშრომში ღრმად და ყოველმხრივ არის შესწავლილი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა, რომელშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საქართველოს, სადაც ერთიან ძმურ ოჯახში ოთხმოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. ქართველი ხალხი, რომელმაც თავისი თავისთავადი, უძველესი სულიერი კულტურა საუკუნეების ქარტეხილებში გმირული ბრძოლით გამოატარა, განუყრელად იყო დაკავშირებული სხვა ხალხების ბედთან.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დიდი სამამულო ომის წლებში, ომის შემდგომ პერიოდში ქართველი და მოძმე საბჭოთა ხალხების ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების საკითხებს. ავტორი ასაბუთებს, რომ ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურულმა თანამშრომლობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. საჭირო გახდა კულტურულ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაუყოვნებლივ აღდგენა და გაფართოება. ბუნებრივია, მხოლოდ ხალხთა ურთიერთთანამშრომლობის წყალობით გადაწყდა ეს ფრიად რთული პრობლემა.

ამ პერიოდში სოციალისტური ერების კულტურაში მკვეთრად გამოიკვეთა ინტერნაციონალური მხარეები, რომელმაც დაჩრდილა ეროვნული კარჩაკეტილობა და შეზღუდულობა. ეროვნულ კულტურათა ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების შედეგად სოციალისტური მშენებლობის პროცესში უფრო სრულყოფილად განვითარდა ეროვნული ფორმები. მონოგრაფიაში მეცნიერულად არის გააზრებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა ეროვნულ კულტურათა შემდგომი განვითარებისათვის.

ნაშრომში საინტერესოდ არის გაშუქებული სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პეიოდში ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების საკითხები.

საკითხების ლოგიკური და ღრმა მეცნიერული ანალიზი, მათი ახლებური გაშუქება, ზოგიერთი ჩვენი მკვლევარის (მაგალითად, კ. გოზალიშვილი) ცალკეული მოსაზრების სამართლიანი კრიტიკა გვარწმუნებს, რომ ავტორს ნაყოფიერად უმუშავია, საფუძვლიანად შეუსწავლია კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის ნაშრომები, სკკპ კრებულების, კონფერენციებისა და პლენუმების სტენოგრაფიული ანგარიშები, პარტიულ და სახელმწიფო არქივებში დაცული მასალები, გამოუყენებია პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომები, მოსკოვის სახალხო მეურნეობისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის არქივის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის პარტიული არქივის, ლიტერატურული და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის, გამოჩენილ ქართველ მსახიობთა, პოეტთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივში დაცული გამოუქვეყნებელი მასალები, რომლებიც ავტორმა პირველად შემოიტანა სამეცნიერო კვლევის სფეროში, კიდევ უფრო საინტერესო გახადა სარეცენზიო ნაშრომი.

წიგნი ინტერესით იკითხება და უშუალოდ ეხმაურება ის აქტუალური პრობლემებსა და ამოცანებს, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ისტორიული მეცნიერების წინაშე დგას.

ნ. ზაქარიაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

რეპორტაჟი სკდისკუსიებიდან

● **ივიტოვი, რომ უყაირათოდ ვხარჯავთ ● საცხოვრებელ ბინათა, საყარმო-დაწესებულებათა მოშლილი ონკანებიდან უმიზნოდ იღვრება საკმელი წყალი ● ყოველი ავტომანქანის „გასარეცხად ვხარჯავთ 200 ლიტრამდე წყალს ● მოდუნებულია საზოგადოებრივი კონტროლი!**

ხშირად, ძალზე ხშირად მოისმენთ თბილისელებისგან საყვედურს — წყალი არა გვაქვს! რატომ გვაკლია წყალი? — ოჰ, ეს გრაფიკი!.. და ასე შემდეგ.

სავსებით სამართლიანი საყვედურებია. უწყლობის სიმწვავე განსაკუთრებით ივლისის იმ თაკარა დღეებში ვიგრძენით, როცა თერმომეტრმა სინდიყმა 35-36 გრადუსს აიღწია.

უკვე მეორე თვეა, რაც ჩვენი საქალაქო გაზეთები „თბილისი“, „ვეჩერნი ტბილისი“ და საქართველოს ტელევიზია სისტემატურად აშუქებენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გამოცხადებული ორთვიურის მასალებს წყლის მომჭირნეობით ხარჯვის თაობაზე. გამოირკვა, რომ მოსახლეობისა და საწარმოდაწესებულებების მუშაკთა დაუდევრობით უმიზნოდ იღვრება ათასობით ლიტრი წყალი, და ეს ყველაზე, როცა თბილისელები ასე განიცდიან სასმელი წყლის ნაკლებობას.

უკეთ რომ გავრკვეულიყავით, როგორ ხდება მილიონიანი ქალაქის სასმელი წყლით მომარაგება, და რა იწვევს მის ნაკლებობას, **„თბილისწყალკანალის“ საწარმოო საამქროს ცენტრალურ სადისპეტჩეროს ვეწვიეთ,** სადაც თავს იყრის დედაქალაქის წყალმომარაგების თითქმის ყველა სამსახური, მათ შორის ისიც, რომელიც საგარეუბნო კოლონტებსაც ამარაგებს სასმელი წყლით.

სადისპეტჩეროს საკმაოდ დიდი ოთახი უკავია. მის ერთ კედელს მთლიანად თბილისის წყალსადენის ქსელის რუკა ფარავს, მეორეს კი — დედაქალაქის ტექნიკური წყლის ქსელის რუკა. აქვეა საამართველოს მიერ დამტკიცებული ამა თუ იმ რაიონისათვის წყლის მიწოდების გრაფიკის აღმნიშვნელი სიგნიც.

აქ ოცდაოთხი საათის განმავლობაში მორიგეობენ დისპეტჩერები, ინჟინრები, ცალკეული ბრიგადები... სატელეფონო კავშირის მეშვეობით ისინი სწრაფად იგებენ: რა მდგომარეობაა ამა თუ იმ უბანზე, სად ფურნდება წყლის მიწოდება, და რით არის გამოწვეული იგი — დაბალი წნევის, ავარიის, ელექტროდენის გამორთვისა თუ ნიაღვრის შედეგად. ჩვენ რომ ვეწვიეთ, რატომღაც ნაკლებად რეკავდნენ მოქალაქეები, მეტწილად თვით ამ უწყების დაქვეშდებარებული ობიექტებიდან მოსდიოდათ ინფორმაციები.

— ახლა რა გვეჭირს, — გვითხრა მორიგე დისპეტჩერმა ბადრი კიწმარიშვილმა, — შედარებით აგრილდა და... ამას წინათ დიდი სიცხეები რომ დაიჭირა, აი მაშინ უნდა გენახათ, — განუწყვეტლივ გვირეკავდნენ მოქალაქეები.

სამართავ პულტთან ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ, მორიგე, დიახ, ვიცით, რომ წყალი არ გაქვთ, ექვსი საათიდან ისევ მიიღებთ.

— ეს ვარკეთილის მასივიდან რეკავენ, — გვეუბნება დისპეტჩერი, — ამ რაიონში ხომ წყლის მიწოდება გრაფიკით ხდება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იქ წყალი საერთოდ არ მოდიოდეს, — ძირითადად დაბალი წნევით ვახდენთ წყლის მიწოდებას, რათა ეზო-ბში და პირველ სართულებზე, სადაც უმეტესად პოლიკლინიკები, სამაგვიარო ბაღები თუ სკოლებია, ჰქონდეთ სასმელი წყალი.

ტელეფონი კვლავ აწკრიალდა.

— გისმენთ, გლდანის ქუჩაზე წყალი არა გაქვთ? ჩვენგან შეფერხება არ ყოფილა, ალბათ, ადგილობრივ არის გამოთიშული.

— დიახ, ასეც ხდება, — გვიხსნის მორიგე. — რომელმე მოსახლე დაზიანებულ რადიატორს, ან წყალგაყვანილობის მილს ცვლის და მთავარ ონკანს გადაკეტავს, ასე რომ, ერთი მოსახლის მიზეზით, ხშირად მთელი სახლის მობინადრეები რჩებიან უწყლოდ.

როცა ქალაქის წყალსადენის მთელი ქსელის მუშაობაზე ჩამოვარდა საუბარი, გამოირკვა, რომ სადისპეტჩერო საწარმოო სამსახურის უფროსმა იროდიონ დავითაიამ, სამსახურის მთავარმა ინჟინერმა დიმიტრი ყირიმლიშვილმა, დისპეტჩერებმა და ინჟინრებმა ზეპირად იციან თბილისის თითოეული დასახლება, ყოველი უბანი, იციან, სად რა მდგომარეობაა ქსელში. ამიტომაც, დაზიანების შემთხვევაში, ცენტრის მორიგე მუშა ბრიგადები ყოველგვარ ამინდში, დღისით თუ ღამით შეუმცდარად აგნებენ ხოლმე დაზიანების ადგილს და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დროულად გამოასწორონ მდგომარეობა.

წყლის მიწოდების გრაფიკის ზუსტად დაცვა რომ ხერხდებოდეს, მოსახლეობისგან ნაკლებ საყვედურს დაიმსახურებდნენ, მაგრამ გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო ზშირად იორვევა იგი და.. ვთქვათ, უბანში, სადაც საავადმყოფოა, წყალი შეწყდა, ანდა ხანძარი გაჩნდა... დისპეტჩერი ვალდებულია დაარღვიოს გრაფიკი და იქ, სადაც აუცილებელია წყლის მიწოდება, წნევა გაზარდოს, საამისოდ კი საკმარისია სადისპეტჩეროს სამართავ პულტზე დამაგრებულ ღილაკს დაეჭიროს თითი და..

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ გვაკლია წყალი, — ამაში „თბილისწყალკანალის“ საწარმოო სამართველოს მთავარი ინჟინერი ვლადიმერ ბახტაძე უკეთ გაგიგებთო, გვეპასუხეს, თანაც დასძინეს, ჩვენი წყალსადენის ცოცხალი მატიანეაო. ვ. ბახტაძე აგერ 52 წელია თურმე, რაც მან საქმეს ემსახურება და ზედმიწევნით კარგად იცის, დედაქალაქის წყალსადენის მთელი ქსელის ავან-ჩავანი.

— ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოს არც ერთი ქალაქი არ იღებს იმდენ წყალს, რამდენსაც თბილისი, — გვითხრა პატივცემულმა ვლადიმერმა, — მაგრამ იმის გამო, რომ წყალი უყაირათოდ იხარჯება, არა და არ გვყოფნის.

მერე ისიც გაიხსენა, თბილისში რომ ათასამდე ბინა იყო კეთილმოწყობილი, დანარჩენ კერძო სახლებში კი სპეციალური საზომი ხელსაწყოები იდგა და გადასახადიც დახარჯული წყლის მიხედვით განისაზღვრებოდა. იმ კეთილმოწყობილ ბინებში კი სახლმმართველობის მუშაკებს აკისრებდნენ ზედამხედველობას. მაშინ საზოგადოებრივი კონტროლიც უფრო ქმედითი იყო და წყლის ხარჯიც ნაკლები გვქონდა, — გვეუბნება ვ. ბახტაძე და დასძენს, — ახლა კი, ჩვენს დედაქალაქში ათასობით კეთილმოწყობილი სახლია და თითოეულ მათგანში კიდევ — თუ ასობით არა, ათობით მოშლილი ონკანია. საზოგადოებრივი კონტროლიც მოისუსტებს და წყალი უზომოდ ბევრი იხარჯება.

არაერთხელ თქმულა და დაწერილა ამ პრობლემაზე, მაგრამ რა გამოვიდა? ნუთუ ჩვენს მრეწველობას ასე უჭირს ცივი და ცხელი წყლის შემრევი ისეთი მაღალხარისხოვანი ონკანების დამზადება, ასე წარამარა რომ არ ფუჭდებოდეს? ანდა, მათი მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, სათადარიგო ნაწილები რომ მაინც იშოვებოდეს, კიდევ არაფერს იტყოდა კაცი, და ორც საცხოვრებელ ბინებში დაიღვრებოდა ასე უმიზნოდ ათასობით ლიტრი წყალი. გვერწმუნეთ, დაზიანებული ონკანიდან წყლის ჩაწოდება არაფის სიამოვნებს, პირიქით, ნერვებს გვიშლის.

ამაზედაც ბევრი თქმულა, რომ ჩვენც, მოსახლეობაც უაღრესად უსულგულოდ, უყაირათოდ ვხარჯავთ წყალს. ავტომანქანა სასმელი წყლით კი შეიძლება გაირეცხოს, მაგრამ საამისოდ სულ ორი ვედრო წყალია საკმარისი. ბევრი ამ წესს არად დაგიდევს და ავტომანქანას პირდაპირ შლანგით „ახრჩობს“.

არც არავინ კრძალავს ახალნარგავთა, ანდა ბაღ-ბოსტნების მორწყვას, მაგრამ აქაც ხელმომჭირნეობა გვმართებს, მთელი დღით ნუ მივუშვებთ ბოსტანში შლანგით სასმელ წყალს, ისიც მაშინ, როცა ჩვენსავე უბანში ხალხს წყალი აკლია.

— ნარგავების, ბაღ-ბოსტნების, ქუჩების მოსარწყავად ხომ ტექნიკური წყალი უნდა გამოვიყენოთ, მისი ხმარება, ცხადია, ბევრად დაგვიზოგავს სასმელ წყალს? — ვკითხეთ მთავარ ინჟინერს.

— ქალაქის იმ უბნებში, სადაც მწვანე მასივებია, როგორიც არის ბოტანიკური ბაღი, ლისისა და კუს ტბები, გმირჯვების პარკი, ფუნიკულიორის პლატო და სხვა ადგილები, ტექნიკური წყლით ირწყვება ნარგავები, მაგრამ ქალაქის ცენტრალურ რაიონებში ასეთი წყლის გაყვანა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ჯერ ერთი, მიწისქვეშა კომუნიკაციები ძალზე გადატვირთულია და მათი გაყვანილობაც ძალზე ძვირი ჯდება. ამასთან მეტად სახიფათოა სანტექნიკური თვალსაზრისითაც — საშიშია არ მოხდეს ტექნიკური და სასმელი წყლის აღრევა. აკი ერთხელ გვქონდა კიდეც ასეთი შემთხვევა.

რაც შეეხება ქალაქის სასმელი წყლით უზრუნველყოფას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ მზრუნველობას იჩენს დედაქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის. შარშან ოქტომბერში ნატახტარ-საგურამოს უბანზე მოხდა ყამირის წყლების ხელოვნური გადიდრება, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა ქალაქის წყალმომარაგება. ამ დღეებში დამთავრდა თბილისის ზღვის სუფილტრავი სადგურის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს საქარხნო რაიონის, ფონიჭალისა და ვაზისუბნის დასახლებებში წყლის მეტი რაოდენობით მიწოდებას. მიმდინარეობს და 1984 წლის ბოლოსათვის დამთავრდება ენინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობა, რითაც საგრძნობლად გაუმჯობესდება თბილისის წყალმომარაგება.

გადაწყდა და უკვე ზორეს ისხამს თრიალეთის წყაროების თბილისში შემოყვანის პროექტი. მშენებლობა კი 1984 წელს დაიწყება. ასე, რომ ქალაქი მიიღებს მაღალი ხარისხის სასმელ წყალს.

...ისევ სადისპეტჩეროს ვეწვეთ. აქ ღამითაც არ წყდება მუშაობა. თვალყურს ადევნებენ როგორ მიმდინარეობს რეზერვუარების ავსება, რათა დილის ექვსი საათიდან იქ, სადაც გრაფიკით ხდება წყლის მიწოდება, მოსახლეობამ დროულად მიიღოს იგი.

— ალო, მორიგე დისპეტჩერი გისმენთ, — გაისმის ყურმილში... და იცით, სადისპეტჩეროს სამსახური ყველაფერს გააკეთებს, რათა დროულად მოგვაწოდოს წყალი, ჩვენი სასიცოცხლო წყარო.

ლარისა ხუბულური.

რაზომ გვაკლია წყალი?..

კონტროლზეა მკითხველთა წერილები

თბილისელი მოქალაქე ნ. ფირცხალავა გვწერდა იმ თვითნებობასა და დარღვევებზე, ბათუმ-თბილისის მარშრუტის ავტობუსების მძღოლები რომ სჩადიოდნენ მისი მგზავრობისას.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ა. გოშაძე გვატყობინებს:

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბათუმ-თბილისის მარშრუტზე 2659 ავტოკოლონის „იკარუს-255“ მარკის ავტობუსის (სახელმწიფო ნომერი 44-47) მძღოლები უტაქტოდ ექცეოდნენ მგზავრებს და არღვევდნენ ავტობუსის ექსპლოატაციის წესებს.

ბათუმის 2659 ავტოკოლონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ განიხილა აღნიშნული წერილი და დაგმო მძღოლების რ. გოთოშიასა და ი. ციხაძის საქციელი, ამასთანავე დასახა ღონისძიებანი მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად. მძღოლი რ. გოთოშია ჩამოქვეითებულია დაბალხელფასიან სამუშაოზე ერთი თვის ვადით, ხოლო შემცვლელ მძღოლს ი. ციხაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

აჭარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების 12 ივლისის ბრძანებით მძღოლთა შორის აღმზრდელობითი მუშაობისა და ხაზზე კონტროლის შესუსტებისათვის საწარმოს ექსპლოატაციის ბყაწოფილების უფროსს მ. დახუნდარიძეს და კოლონის უფროსს ვ. მარგალიტაძეს გამოეცხადათ საყვედური.

სამტრედიის საკვანძო-სამგზავრო ავტოსადგურის 30 ივნისის ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობის უპასუხისმგებლოდ შესრულებისათვის სამტრედიის ავტოსადგურის კონტროლიორს ჯ. ჯალადანიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

აჭარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების 2659 ავტოკოლონისა და სამტრედიის ავტოსადგურის ხელმძღვანელობას მიეცა მითითება, რომ გააძლიერონ მომთხოვნელობა და კონტროლი მგზავრთა მომსახურებისა და მოძრავი შემადგენლობის ექსპლოატაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

● ●

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ მარელისის მცხოვრები ა. შველიძე, რომელმაც დიდ სამამულო ომში სამი ვაჟიშვილი დაკარგა, რედაქციას სთხოვდა დახმარებას ავარიული სახლის შეკეთებაში.

ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. ბერიძემ გვაცნობა, რომ ა. შველიძის სახლი მართლაც ავარიულია და მოითხოვს შეკეთებას.

მალე ლეღვნის კოლმეურნეობის გამგეობა განმცხადებელს მიაწვდის სახურავისა და სამირკელის შესაკეთებელ მასალას, ხოლო ლეღვნის სასოფლო საბჭოს აღმასკომს მიეცა რჩევა ა. შველიძეს დაეხმაროს მუშახელით.

● ●

მოქალაქე მ. სიხარულიძე გულისტკივილით აღნიშნავდა თავის წერილში, რომ სურამის სადაბო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობა ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებს დაბა სურამის, ბავშვთა ამ შესანიშნავი გამაჯანსაღებელი კერის კეთილმოსაწყობად, სათანადო ყურადღება არ ექცევა ქუჩების, მოედნებისა და მდინარე სურამულას დასუფთავებას, სანიტარიული წესრიგის დაცვას, ნაგვის დროულად გატანას.

პარტიის ხაშურის რაიკომის მეორე მდივანი ე. გელაშვილი გვატყობინებს:

წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ხორციელდება ღონისძიებანი. მიმდინარე წლის 18 მაისს რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა საკურორტო სეზონისათვის მზადების საკითხი და დაამტკიცა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

მიმდინარე წელს კაპიტალურად შეკეთდა სურამის კინოთეატრი და კეთილმოეწყო მის წინ მდებარე სკვერი, დაბის ცენტრში ძირითადად დამთავრდა კულტურის სახლის მშენებლობა, მიმდინარეობს სტადიონის კეთილმოწყობა და მთავარი ქუჩის რემონტი. ამავე ქუჩაზე სანატორიუმ „მზიურის“, მესამე საშუალო სკოლის წინ და მდინარე სურამულას ნაპირზე თუჯის ახალი მოაჯირებით შეიცავალა ძველი ღობეები, გაიხსნება ახალი სასურსათო მაღაზია. მდინარე სურამულაზე მოეწყო წყლის გადასატუმბი, რომელიც უზრუნველყოფს მთავარი ქუჩის კეთებებში წყლის მუდმივ მიწოდებას, გაძლიერდა კონტროლი დაბაში სანიტარიული წესების დაცვისა და ქუჩების და მდინარის მოვლა-დასუფთავებისადმი.

უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია დაბაში არსებული საავჭრო, საყოფაცხოვრებო ობიექტების ფასადების, რკინიგზის სადგურთან მდებარე ბაღის, საკოლმეურნეო ბაზრის, ზინდისის უბნის ტყეპარკის და მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, მდინარე სურამულას კალაპოტის გაწმენდა, მოსახლეობის ღობეების შეკეთება-მოწესრიგება, ცენტრალური ქუჩების ლამპიონების განახლება და სხვა.

რეკონსტრუქციის გეგმით

თბილისის ჩარხსაშენებელ საწარმოო გაერთიანებაში დაიწყეს ახალი მოდიფიკაციის რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხების სერიული გამოშვება. მის მეთაურ საწარმოში — კიროვის სახელობის ჩარხნაში მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს პირობების შექმნას ლითონდამუშავებელი მრეწველობისა და უნივერსალური სახარატო ჩარხებისათვის სამეცნიერო ახალი სახეობის პროგრამული აგრეგატების საწარმოებლად.

სოციალისტურ ქვეყნებში

● **რუმინეთი**

მოძრაობა წართოვდება

ბუქარესტი. რუმინეთის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში კარგი შედეგი მოიტანა მრავალდაზგოსანთა მოძრაობის გავრცელების ექსპერიმენტმა. მარტო დედაქალაქის საფეიერო ფაბრიკა „სუვეიკას“ მუშებმა მომსახურე მანქანების რაოდენობა საშუალოდ 10-დან 15 პროცენტამდე გაადიდეს. საწარმოში შრომის ნაყოფიერება 33 პროცენტით გაიზარდა.

მრავალდაზგოსანთა მოძრაობას რუმინეთში მიიჩნევენ როგორც შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმებზე გადასვლის ერთ-ერთ გზას. მსუბუქ მრეწველობაში ამჟამად დაახლოებით 100 ათასი მრავალდაზგოსანი ითვლება.

● **უნგრეთი**

ბალატონი რომ სუფთა იყოს

ბუდაპეშტი. ბალატონის ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნების პერსპექტიული პროგრამის ფარგლებში, რომელიც გაანგარიშებულია 1990 წლამდე, დაბა ცალაში დამთავრდა დიდი წყალსაცავის მშენებლობა. მისი ფართობი შეადგენს დაახლოებით 500 ჰექტარს, მოცულობა კი 10 მილიონ კუბურ მეტრზე მეტს. წყალსაცავი გახდება ბუნებრივი ბარიერი აზოტიანი და ფოსფორიანი ელემენტების გზაზე, რომელიც წინათ ბალატონის წყალში ჩადიოდა წვიმების დროს.

● **კამპუჩია**

ტრანსპორტელთა ამოცანები

პნომპენი. თავის დროზე დაბინაონ მოწეული ბრინჯი მარცვალაცავებში, უზრუნველყონ მოსახლეობა პირველი საჭიროების საქონლით, ეს იყოვა სახალხო კამპუჩის ბრინჯის ბეღლის — ბატამბანგის პროვინციის ტრანსპორტის მუშაკთა თათბირზე. მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში, აღნიშნა თათბირზე, ავტომობილებით ტვირთზიდვის მოცულობამ დაახლოებით 65 ათასი ტონა შეადგინა. შესამჩნევად გაუჯობესდა სარემონტო ბრიგადების მუშაობა, სათადარიგო ნაწილებით, მოწყობილობითა და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა. სარემონტო-აღდგენით სამუშაოებზე სულ უფრო ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან მიღებულ საგზაო-სამშენებლო ტექნიკას.

16 აგვისტო

ეკონომიკა

ფაქტები მოვლენები საკლასიკური იუმორი

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

ბუდაპეშტი. უნგრეთში გამოვიდა ორი წიგნი — „მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის“ და „სსრ კავშირის 60 წელი“, რომლებშიც დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვები, სტატიები და ინტერვიუ.

ყიგნების გამოცემას, განაცხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პოლიტიკური სკოლის რექტორმა ი. საბომ, დიდი ინტერესით შეხვდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. ამ ნაწარმოებებს უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნების, სოციალისტური მშენებლობის, აგრეთვე მოძმე ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის გამოსვლები მოწმობს, რომ სსრ კავშირს ამჟამად სეროიზულ საერთაშორისო პრობლემად მიაჩნია იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის სოციალისტურ თანამეგობრობას, ხალხთა სოციალურ პროგრესსა და დამოუკიდებლობას.

სსრ კავშირის კონსტრუქციული სამშვიდობო წინადადებანი თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკას მტკიცე, პრინციპული საფუძველი აქვს. ამავე დროს გონივრულ ფარგლებში ვლინდება მზადყოფნაც წვიდეს კომპრომისზე, რათა ხარაცი შეეხსნა კაცობრიობის უმაღლეს მიზანს — მშვიდობის შენარჩუნების მიზანს.

უნგრეთში უდიდესი ინტერესი გამოიწვია პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებმა საბჭოთა ეკონომიკის ამაღლებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აუცილებელ გარდაქმნათა მამოძრავებელ ძალად გვევლინება. ეს ჩანს ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა, ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება, სოციალისტური დემოკრატიის განვითარება.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობა, ხაზი გაუსვა ი. საბომ, განისაზღვრება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, რომლებიც ითვალისწინებს ურთობლივ შრომას საერთო მიზნებისათვის, ერთმანეთის ინტერესების პატივისცემას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტურ მშენებლობაში გამოცდილების ურთიერთშესწავლასა და მის ფართო გამოყენებას. სწორედ ამიტომ უნგრეთში ი. ვ. ანდროპოვის წაწარმოებთა გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

დააპატიმრეს პროტესტისათვის

□ **პარიზი.** პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციამ ახალი რეპრესიები დაატეხა თავს ანტიხალხური რეჟიმის მოწინააღმდეგეებს. ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ კარაჩში დააპატიმრეს დემოკრატიის დამყარებისათვის მოძრაობის ორი თვალსაჩინო მოღვაწე გულამ მუსტაფა ჯათოი და მერაჯ მობამად ხანი. ისინი შეიპყრეს კარაჩის ცენტრში გამართული მასობრივი საპროტესტო მიტინგის დროს, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს სამხედრო მმართველობის გაუქმება.

იაპონელ ქალთა გულისწყრომა

□ **ტოკიო.** „არ დავუშვებთ იაპონიის ბირთვული ომის ასპარეზად გადაქცევას!“—ამ ლოზუნგით იაპონიის ქალაქ ოსაკაში გაიმართა მასობრივი ომის საწინააღმდეგო მიტინგი, რომელიც მოეწყო ქალაქის ქალთა ორგანიზაციების ინიციატივით. „ჩვენ, იაპონელმა დედებმა, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ იაპონია კვლავ არ დაადგეს ომისა და აგრესიის გზას“, —განაცხადეს მიტინგის მონაწილეებმა.

რეპრესიები უნდა აღიკვეთოს

□ **გუინეა-ბისაუ.** ჩილელმა მედიკოსებმა მოუწოდეს საერთაშორისო წითელ ჯვარს სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელოს პინოჩეტის ფაშისტური რეჟიმის მიერ ეროვნული პროტესტის დღის მონაწილეთა წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების აღსაკვეთად. ჩილელი მედიკოსები იუწყებიან, თუ რარიგ სადისტურად აწამებენ რეჟიმის დილეგებში პატიმრებს.

კრესა კადასტურებს

მწვავე უთანხმოებანი

ნიუ-იორკი. ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობები რეიგანის მთავარ საგარეო პოლიტიკურ მრჩეველთა შორის უთანხმოებათა შესახებ.

ეი-ბი-სი ტელეკომპანიის რეპორტაჟში აღნიშნულია: ეს უთანხმოებანი იმდენად მწვავეა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცს „შესაძლოა გადადგომაც კი უნდოდა“. ამასთან დაკავშირებით „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ „ახლა ჯ. შულცი სულ უფრო მეტ ადამიანს მიაჩნია მოღვაწედ, რომლის გავლენა პრეზიდენტზე მცირდება“. როგორც გაზეთი წერს, ყველაზე გარკვევით ასეთი წარმოდგენა ვლინდება ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო გამართულ დებატების დროს. ამის თაობაზე დაწყებულმა დავამ წამოჭრა აგრეთვე. საკითხი, სახელმწიფო დეპარტამენტის ნაცვლად თეთრი სახლი ხომ არ ჩემულობს უფლებას კონტროლს უწევდეს პოლიტიკას სხვა საკვანძო სფეროებში, ისეთებში, როგორიცაა ახლო აღმოს

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

მ ე ს ტ ი ა

ალმაშენებლობისა და განახლების წლები

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ამ ათიოდე წლის წინანდელ „ძველ“ მესტიაში, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ მისი ჭეშმარიტი განახლებისა და აღორძინების ხანას სათავე დაედო 1974 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ. სწორედ მას შემდეგ ახდა სვანთა საუკუნო ოცნება — ჯვარმესტიის საავტომობილო გზით ისინი მკვდრად დაუკავშირდნენ ბარს, რაიონში შემოიყვანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, ოჯახებში აციმციმდა ცისფერი ეკრანები, აშენდა სხვადასხვა დანიშნულების მრავალი ნაგებობა, ამოქმედდა მშრომელთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დაწესებულებათა ობიექტები. საქართველოს ამ მაღალმთიანი რეგიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად კვლავაც გრძელდება სასიკეთო სიახლეები მესტიაში. ამის დასტურია ის, რომ მომდინარე ხუთწლეულში, მეათე ხუთწლედთან შედარებით, რაიონში გათვალისწინებულია კაპიტალდაბანდებათა მკვეთრი ზრდა, რაც მობილდება ისეთი დარგების განვითარებას, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, საბინაო მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური კულტურა, სპორტი. ამ ინფორმაციებში სწორედ მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონის ცხოვრებაში მომხდარ ცალკეულ მნიშვნელოვან მოვლენებზე, ახლო მომავლის პერსპექტივებზე მოგითხრობთ.

უმჯობესდება საბინაო-ნაო პირობები

ახლახან დაბა მესტიაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 12-ბინიანი კომუნალური სახლი. ამჟამად მიმდინარეობს ასეთივე სახლის მშენებლობა, რომელიც წლის ბოლომდე ახალმოსახლეობას იზეიმებენ რაიონის მოძრაგ-მექანიზებული სამშენებლო კოლონის მუშაკები.

მეცხოველეობის ალმავლობისათვის

მესტიაში მთავარი და წამყვანი დარგია მეცხოველეობა. ამიტომაც აქ ბევრი რამ კეთდება მისი შემდგომი აღმავლობისა და რენტაბელობისათვის. ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ. სწორედ მას შემდეგ ახდა სვანთა საუკუნო ოცნება — ჯვარმესტიის საავტომობილო გზით ისინი მკვდრად დაუკავშირდნენ ბარს, რაიონში შემოიყვანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, ოჯახებში აციმციმდა ცისფერი ეკრანები, აშენდა სხვადასხვა დანიშნულების მრავალი ნაგებობა, ამოქმედდა მშრომელთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დაწესებულებათა ობიექტები. საქართველოს ამ მაღალმთიანი რეგიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად კვლავაც გრძელდება სასიკეთო სიახლეები მესტიაში. ამის დასტურია ის, რომ მომდინარე ხუთწლეულში, მეათე ხუთწლედთან შედარებით, რაიონში გათვალისწინებულია კაპიტალდაბანდებათა მკვეთრი ზრდა, რაც მობილდება ისეთი დარგების განვითარებას, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, საბინაო მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური კულტურა, სპორტი. ამ ინფორმაციებში სწორედ მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონის ცხოვრებაში მომხდარ ცალკეულ მნიშვნელოვან მოვლენებზე, ახლო მომავლის პერსპექტივებზე მოგითხრობთ.

ახალი კავშირგაბმულობის სახლი

ფიფ-ნომრიანი კავშირგაბმულობის სახლი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ აუშენებიათ, სათანადოდ ვერ ასრულებდა დანიშნულებას. ამიტომაც დაბის ცენტრში დაიწყო და წლეულსვე უნდა დამთავრდეს ახალი სახლის მშენებლობა (მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 760 ათასი მანეთია). იგი 1000 აბონენტს მოემსახურება და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კავშირს როგორც რაიონის დასახლებულ პუნქტებთან, ისე რესპუბლიკის სხვა რეგიონებთანაც.

მაღლა მიიწევს ხარაჩოები

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონს ბევრი ახალი ნაგებობა შეემატა. ხარაჩოები კი კვლავ მაღლა და მაღლა მიიწევს. ყველაზე მაღალმთიან სოფელ უშგულში უნდა აშენდეს სავაჭრო ცენტრი, დაბა მესტიაში — ორასი ტონა სიმძლავრის კარტოფილსაცავი (შარშან აქვე ამოქმედდა 5 ტონა სიმძლავრის ახალი პურსაცხობი), სოფელ მაზერში გაიხსნება ახალი მაღაზია.

ხუთწლედის ბოლომდე საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და კულტურის სახლის შენობები, 120-ადგილიანი რაიონული საავადმყოფო...

„ახალი სვანეთი“ 50 წლისაა

რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში არ ყოფილა რიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ოპერატიულად რომ არ გამოხმაურებოდეს, თავის ფურცლებზე არ გაეშუქებინოს და ყველასათვის საცნაური არ გაეხადოს პარტიის მესტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ორგანოს — გაზეთ „ახალ სვანეთს“ (რედაქტორი ვ. საღლიანი). რედაქციის მუშაკები დღენიადაგ მხარში უდგანან რაიონულ პარტორგანიზაციას, რაზმავენ მშრომელებს თავ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

სწორედ ამიტომ აღნიშნეს ასე გამორჩევით ახლახან რაიონის მშრომელებმა თავიანთი საყვარელი გაზეთის 50 წლისთავის იუბილეე. გაზეთის მუშაკებს, მის აქტივსა და მრავალრიცხოვან მკითხველებს ეს თარიღი საზეიმოდ მიუღოცეს და ახალი წარმატებები უსურვეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის განყოფილების გამგემ ნ. ბარათაშვილმა, ჩვენი მწერლობის ცნობილმა წარმომადგენლებმა — პოეტმა რ. მარგიანმა, პროზაიკოსმა და დრამატურგმა ო. იოსელიანმა და სხვებმა.

რ. რუსია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



სასტუმრო „მედეა“

„**მედეა**“ — ასე ეწოდება ახალ სასტუმროს, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა ბათუმში. იგი აშენდა ქალაქის ცენტრში მშვენიერი ზღვისპირა პარკის მახლობლად. მინით, ბეტონითა და ალუმინით ნაგებ ცხრამეტსართულიან თანამედროვე შენობაში არის 290 ერთადგილიანი, ორადგილიანი და სამადგილიანი კომფორტული ნომრები.

სასტუმროს შეუძლია ერთდროულად მიიღოს 560 კაცი.

სართულებზე განლაგებულია მყუდრო კაფეები, ბარი, მეჩვიდმეტე სართულზე კი რესტორანი.

„მედეას“ აივნებიდან თვალწინ იშლება საკურორტო ქალაქის ლამაზი პანორამა.

✦—✦

სურათებზე: სასტუმრო „მედეა“ ბათუმში; ახალი სასტუმროს ვესტიბიულში.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აქ ისწავლიან მედდები

ბორჯომი. თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე ბორჯომის სამედიცინო სასწავლებელმა მოამზადა 120 საშუალო სამედიცინო მუშაკი. მისმა კურსდამთავრებულებმა კეთილსინდისიერი შრომით დაიმსახურეს შრომითი კოლექტივების, აგრეთვე თავიანთი პაციენტების სიყვარული და პატივისცემა. მათ შორის არიან მედდები ლიანა ხელისუფალი, მერი აბრამშვილი, მანანა ზუკაკიშვილი, მარინე ჩაჩანიძე, ნანა ბაბლიძე და სხვები, რომლებიც მუშაობენ ბორჯომის ჯანმრთელობის კერებში.

წელს ჩვენ მეექვსეჯერ ვატარებთ მისაღებ გამოცდებს, — თქვა სამედიცინო სასწავლებლის დირექტორმა ვ. სახეჩიძემ. — თუ წინა წლებში სასწავლებელში მარტო 30 საკონკურსო ადგილი იყო, ახლა ორჯერ მეტია. ბორჯომში სამედიცინო სასწავლებლის გახსნა ობიექტური საჭიროებით არის ნაკარნახევი — კურორტის ჯანმრთელობის კერები საშუალო სამედიცინო მუშაკთა მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ.

ჩვენი სასწავლებელი თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 3 საბაზო სამედიცინო სასწავლებლის ფილიალია. მას კარგი სასწავლო ბაზა აქვს. კლინიკური ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით.

ყოველწლიურად იხვეწება მოძავალი მედდების სწავლებისა და პროფესიული მომზადების მეთოდები. მათ თავიანთ მდიდარ მრავალი წლის გამოცდილებას უზიარებენ რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები ნუნუ აბრამიშვილი, ლუბა დვალიშვილი, გიორგი ზუბადალაშვილი და სხვები. სასწავლო წლის დამდეგს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი საერთო საცხოვრებელი, რომელსაც ექნება სპორტდარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი. ჯერჯერობით ჩვენთან სასწავლებლად მოდიან მხოლოდ ქალიშვილები, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჭაბუკებიც ისურვებენ საშუალო სამედიცინო განათლების მიღებას. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის ჩვენთან ყველა პირობა შექმნილი, თქვა დასასრულ ვ. სახეჩიძემ. (საქინფორმი).

რედაქციას ხშირად მომართავენ მკითხველები კიბოს წარმოშობისა და მისი პროფილაქტიკის საკითხებზე. დღეს ამ თემაზე ვბეჭდავთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ჯემალ ბენიაშვილის წერილს.

სამედიცინო თემაჯზე

კიბო და თამამავლობა

გაგდადის კიბო მემკვიდრეობით თუ არა? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად რთულია სხვადასხვა მიზეზის გამო. უპირველესად იმიტომ, რომ საჭიროა მაღალ მეცნიერულ დონეზე შევისწავლოთ სულ ცოტა 3-5 თაობა, რასაც დაახლოებით 200-300 წელიწადი სჭირდება, ხოლო სიმსივნეთა შემსწავლელი მეცნიერება, რომელიც კიბოს დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებს ეყრდნობა, სულ რამდენიმე ათეული წელიწადს ითვლის.

კლინიკური ონკოლოგიის მონაცემები მოწმობს, რომ სიმსივნეთა განვითარება ზოგიერთ შემთხვევაში (ჩვენდა საბედნიეროდ, არცთუ ისე ხშირად) დამოკიდებულია მემკვიდრეობაზე და რომ კიბოს წარმოქმნისადმი მიდრეკილება გადაეცემა ვერტიკალურად თაობიდან თაობას მენდელის გენეტიკის პრინციპების თანახმად. მაგრამ ეს საკითხი ბოლომდე შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. უფრო გარკვეულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს კიბოს გამომწვევი მიზეზები ფეხმძიმობის დროს დედაზე, შეუძლია თუ არა მათ სიმსივნეთა გამოწვევა შვილებში. ბევრს აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა დავიცვათ შთამომავლობა სასეთი სიმსივნეებისაგან და რა გზით.

თანამედროვე ონკოლოგიის გავითარების მიღწევები ახლა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დადებითად ვუპასუხოთ ამ კითხვას. ვინაიდან კიბოს პროფილაქტიკა უშუალოდ არის დაკავშირებული სიმსივნის გამომწვევ მიზეზებთან, რომელთაც, როგორც ცნობილია, ძირითადად განეკუთვნება ქიმიური ნივთიერებები (პოლიციკლური არომატული ნახშირწყლები, ნიტროზოშენაერთები და ა. შ.), ფიზიკური ზემოქმედებანი და ვირუსები. ამ ფაქტორების ზემოქმედებით ორსულობის დროს ნაყოფის განვითარება გარკვეულად ირღვევა, წარმოიქმნება სიმსივნეები. რაც ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხდება, ბავშვების სიმსივნეებს გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს — ძალზე ხშირად გვხვდება სარკომები, გაცილებით იშვიათად — კიბო. ყველაზე მეტად სიძსივნე ვითარდება ნერვულ სისტემაში და თირკმელებში, ხშირად სიმსივნე დაკავშირებულია ნაყოფის განვითარების ანომალიებთან.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ავთვისებიანი სიმსივნეები განსაკუთრებით ხშირია იმ ბავშვებში, რომელთა დედებს ფეხმძიმობის დროს მოუხდათ დასხივება, ან ავად გახდნენ რომელიმე ვირუსული დაავადებით, ანდა უკონტროლოდ ღებულობდნენ სხვადასხვა წამალს. პ. გრენვალდმა აღწერა სასქესო ორგანოების სიმსივნეები 15-17 წლის გოგონებში, რომელთა დედებიც ორსულობის შენარჩუნების მიზნით იღებდნენ ჰორმონებს — ესტროგენებს. შარშან ა. ლანირმა გამოაქვეყნა ამერიკაში ცნობილი ძმების მეიოების კლინიკის მონაცემები სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნით დაავადებული 1719 ბავშვის შესახებ. მათ დედებს 1945-1963 წლებში უმშობიარიათ და დიდი რაოდენობით მიუღიათ ჰორმონი — სტილბესტროლი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე თამბაქოს წევის მავნე გავლენა შთამომავლობაში სიმსივნეთა განვითარებაზე. ამ ბოლო დროს, არცთუ ისე იშვიათად, თამბაქოს ეწევიან ქალებიც (და რაც ყველაზე საცალოა — ფეხმძიმობის პერიოდში!). შეიძლება ქალები თვითონ, უშუალოდ არც ეწევოდნენ, მაგრამ ამოლებენ მათი ახლობლები (მეუღლე, ძმა და ა. შ.). ყველამ უნდა იცოდეს, რომ იქ, სადაც ორსული ქალია, თამბაქოს მოწევა არ შეიძლება, ვინაიდან ადამიანის ნაყოფი განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენს ნიკოტინისადმი.

კლინიკური ონკოლოგიის მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიკარაუდოთ, რომ მრავალი სახის სიმსივნის წარმოშობა განსაკუთრებით ბავშვებში, დაკავშირებულია იმ ქიმიურ ნივთიერებებთან, რომელთაც დედები ორსულობის დროს, ნაყოფის ორგანოებია ჩამოყალიბების პერიოდში იღებენ. ონკოლოგები ასეთ სიმსივნეებს ტრანსპლაცენტურს ვუწოდებთ (პლაცენტა მომყოლს ნიშნავს).

ტრანსპლაცენტური კიბოს განვითარების საკითხების სისტემური შესწავლის ერთადერთი გზა გახლავთ ცდები ისეთ ცხოველებზე, რომლებიც მალე მრავლდებიან და დიდ შთამომავლობას იძლევიან. ასეთი ცდები პირველად მოაწყო ცნობილმა გერმანელმა ექსპერიმენტატორმა ჰ. დუგრეიმ. მან შეძლო ვირთაგვების შთამომავლობაში სიმსივნეების მიღება, როცა დედას მაკეობის დროს ნიტროზოშენაერთებს შეუყვანდნენ.

ლენინგრადის ონკოლოგიის ინსტიტუტის ნ. ნაპალკოვის ლაბორატორიაში დაადგინეს, რომ ტრანსპლაცენტურ სიმსივნეებს, ნიტროზოშენაერთების გარდა, იწვევს სხვა ქიმიური ნივთიერებანიც. ჩვენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში პირველად მივიღეთ ნერვებისა და თირკმლის სიმსივნეები იმ კურდღლებში, რომელთა დედებს მაკეობის ბოლო მესამე შეთვალეინეტროზოშარდოვანა შეუყვანეთ. მიკროსკოპული შესწავლისას ამ სიმსივნეებს ისეთივე აგებულება ჰქონდათ, როგორიც აქვს ბავშვების ავთვისებიან სიმსივნეებს, ანუ რომ, მათ გარკვეულ მოდელს წარმოადგენენ. ჩვენივე ექსპერიმენტები მოწმობს, რომ შთამომავლობაში სიმსივნეების განვითარებაში, გარდა ტრანსპლაცენტური ფაქტორებისა დიდი მნიშვნელობა აქვს პატარების ორგანიზმზე სხვადასხვა მამოდიფიცირებელი აგენტების (ქრონიკული ტრავმა, ჰორმონები, ვიტამინები და ა. შ.) ზემოქმედებასაც.

თუ ქალებს ფეხმძიმობის დროს, განსაკუთრებით კი ნაყოფის ორგანოების ჩამოყალიბების პერიოდში მაქსიმალურად მოვარიდებთ ყველა ვირუსულ დაავადებას, თამბაქოს ბოლს, დასხივებას და სხვადასხვა მედიკამენტს უკონტროლოდ მიღებას, ეს იმის გარანტია იქნება, რომ მათ ჯანსაღი შთამომავლობა შეეძინებათ.

ჯ. ბენიაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

მხატვრის ჩანაფიქრი გამოფენაზე

ბორჯომი. ცნობილ ფერმწერ ბერეკაშვილის ბინაში ბევრ ადამიანს ენახა ფერადოვანი ტილოები, ბევრ ადამიანს ესმოდა ფერადოვანი ფერწერული ენა. ეს ენა ბევრ ადამიანს ესმოდა